

ქართული  
თავისუფლება

# ნოშადურნი



№ 58.

ქართული თავისუფლება

№ 58.



ალერსი. — ზეირის ქანდაკება.



შრომის მსხვერპლი. — ლუარსაბის ქანდაკება.

ბორჯომი

ქალაქიდან მეც ბორჯომში  
ჩამოვედი საზაფხულოდ.  
წარა-მარა ვეხეტები,  
უსულოთა და უგულოდ!

ჩემი გასართობი მხოლოდ  
არის შავი-ბორჯომელი,  
მის ჩუხჩუხზე ნაპირ-ნაპირ  
რომ ავჰყვები ნელა-ნელა.

მივალ სადაც მასს შეერთვის  
ჩაქუხა და ჩახრიალა.  
თითქოს, ციდან გადმონაქანს,  
თან მოჰქონდესთ შნო და ძალა.

საგულისხმო შევენება  
და დიადი აქ ბუნება!...  
მაგრამ ჩემს გულს, დაწყლოლებულს,  
სულ სხვა რამეს ეუბნება:

ძირს რომ შავი-ქვა აგდია  
და მალლიდან სცემს ჩანჩქერი,  
სწორეთ ისე თავს ესხმოდა  
საქართველოს გარე-მტერი,

მაგრამ იდგა შეუცვლელად,  
შეურყველად ვითა სალი,  
მრავალ-ტანჯულს ეხატვოდა  
თვალწინ წმინდა მომავალი.


და ამბობდა: სჯობს გავუძლოთ  
ამ უსხლეტელ გასაჭირსა!...  
„ჭირსა შინა გამაგრება  
ისე უნდა ვით ქვეთკირსა“!

ათასის წლის თავზე-დასხმამ  
ბევრი რამე ვერ დააკლო,  
სანამ შინვე მოყვარემან  
მწარე მუსრი არ გაავლო!

უაღერსა, ანუგეშა  
საოცნებო სოქვა „ნანინა“  
და ტებილ-ხმაზე, მატყუარზე,  
საუკუნოდ დააძინა!...

აი იმ ქვას, განიდან რომ  
მოდგომია ბორჯომელი. .  
ვითომ ჰკოცნის, ფეხს ულოკავს!...  
ძირს კი უთხრის ნელ-ნელა!...

როგორც იმ ქვას საფეხურად დაქვემდებარებული  
სალი-კლდე აქვს დადებული ბორჯომისთვის  
ისე ჩვენს ერს დედა-ბოძად  
რჯული ჰქონდა აგებული!...

მაშინ ჰქუხდა ქართველის თოფი,  
ჰფეთქდა კვესი და ფალია  
და კურთხევით ბანს აძლევდა  
წმინდა ავტოკეფალია...  


დღეს-კი ყველას მოკლებული  
საცოდვავად ჰკენის, ჰგმინავს  
და მით უფრო საბრალოა,  
რომ ჩვეულებრ აღარ სძინავს!...

გაიღვიძა და ვერ ჰხედავს,  
ახალ-გამოღვიძებული,  
თუ რა უნდა გზას დაადგეს...  
თვისიანზე მოსდის გული!...

ახლა უნდა მიშველება,  
ეჭირვება ხსნა და შველა!...  
აი რას მღერს მოჩუხჩუხე  
შავი-წყალი, ბორჯომელი!...

აკაკი

მდივანბეგის სამართალი

(საისტორიო მასალა)

უწინდელ მდივანბეგებს ხალხში ცუდი სახე-  
ლი დარჩათ: ვითომც თვით-ნება, უსამართლო და  
მოქრთამე მტარვალები ყოფილიყვნენ.

მაგრამ ეგ ყველა ჭორსა და ცილის წამებაზედ  
აგებული ბრალდებაა, ნამდვილი—ახლა რომ იტ-  
ყვიან—დიფამაცია.


უეჭველია, თავის დროს, პირუთენელი ისტო-  
რია დასდებს უტყუარს მსჯავრს მდივანბეგების მო-  
ღვაწეობაზედ. ამისთვის, სანამ საქმე გადაწყდებო-  
დეს, მინდა ორიოდ „სპრავკა“ მოვახსენო მდი-  
ვანბეგების მომავალს ისტორიკოსს.

I

მდივანბეგთან ერთი გლეხი საჩივრელად მი-  
ვიდა. ერთი ბაღია თაფლი მიართვა და თავისი სა-  
ჩივარი მოახსენა.

— კარგი, წადი, შენს მოპასუხეს დავიბარებ  
და ვაზღვევინებ, — დაულო გული მდივანბეგმა.

მივიდა დაბარებული მოპასუხე მდივანბეგს ერ-  
თი ღორი მიართვა და თავის მართლება დაიწყო.



— კარგია, წადი. შენი მოდავე მტყუანი ყოფილაო, — გააწყვეტინა სიტყვა მდივანბეგმა.

კოტა ხანს შემდეგ კვლავ ეახლა მდივანბეგს მოჩივარი. თავისი საქმე მოაგონა მორთმეული თაფლიცა და მდივანბეგის დაპირებული.

— ჰო, ისაო!?. გაახსენდა მდივანბეგს — დილა მც მართალი ხარ, მაგრამ აბა როგორ გადამხედვენივინა, შე მამა-ცხოვრებულო, თუ კი შენი თაფლი იმისმა ღორმა შეჭამაო?

ეს ამბავი უტყუვრად მოწმობს, რომ მდივანბეგის განაჩენს საფუძვლად ყოველთვის რაიმე საპატიო საბუთი ედო და არა მხოლოდ ჟინი და ქეიფი, როგორც ამბობენ.

II

უწინ, სოფელში კაცის-კვლა ან ქურდობა რომ მომხდარიყო, დამნაშავეს ამოსაჩენად მდივანბეგი ყოვლის პირველად შეძლებულ გლეხებს თითო-თითოდ დაიბარებდა და გააროზინებდა.

ეს უებარი ღონე იყო. რადგანაც როზის შიშით შეძლებული გლეხი, უეჭველია ან დამნაშავეს გაამხელდა ან თავს გამოიხსნიდა.

ერთხელ მდივანბეგი ერთს მაგისტანა გლეხს ალაპარაკებდა. რომ ვერ გატეხა, გაწყრა და უბძანა ჩაფრებს:

— წააწვინეთ ეგ რაზბონიკიო!..

ჯერ ჩაფრებს ხელი არ წაეველოთ, რომ გლეხი თავის ნებით დაწვა.

შეხედა მდივანბეგმა ამ გლეხს, მიაფურთხა და უბძანა ჩაფრებს:

— გააგდეთ აქედან ეგ ღურაკი! — ეგ ვინ მხეცი მოგიყვანიათ?!

ამ ამბიდანაც ცხადად სჩანს, რომ მდივანბეგებმა როდი იცოდნენ უბრალოსი და ბრალიანის წარამარად ცემა. დიხს სცემდნენ, ხოლო გამორჩევით.

რიშ — ბაბა.

კვალად ავმალღლი

ვით სურო ტყისა. ირგვლივ მეხვევი, შენი ხმა ტკბილი სულსა მიხიბლავს; გიშრის დალაღნი, მკერდზე გაშლილნი, მთვარისა შუქზე ნელადა ბრწყინავს.

შავსა თვალეში ნათელი გიკრთის ხან მომცინარე, ხან მოელვარე:

და მორცხვად მიმზერ შენს ერთგულ მონას, ტრფობით გიშფოთავს მკერდი მღერავს.

პირველ კოცნაზე კვალად ავმალღლი, სულს მოეფინა სხივი ცხოველი; მყუდრო ედემის სიომ დამბერა და უბსკრულს შთანთქა მწარე ნალველი

ა. შ — ღლი

ეგზამენი

(სადღესო სურათი)

— ადე, შვილო გაიღვიძე, ჩქარა ქა, არ დაგიგვიანდეს, ლათინურში გაქვს დღეს? ერთი მალე მორჩი მა საოხროს, რომ თავისუფლად ამოვისუნთქო, აბა ეცადე კარგა დაიჭირო... დღეს მამა შენის დღეობაა, — აღვიძებდა ეფემია თავის სანდროს და თან ოთახში ფუსფუსებდა.

სანდრო ზღაზენით იცმევდა, ცუდ გუნებაზედ იყო და ან კი რა გუნებაზე უნდა ყოფილიყო, როდესაც „ცეზარიდან“ ოცი თავის მაგიერ ხუთი იცოდა?

კოტა ხნის შემდეგ ის უკვე მზად იყო და წასასვლელად ემზადებოდა.

— დაიცა შვილო, ეს ნაკურთხი პური წაიღე, მანამ გკითხამდნენ იქ შეჭამე, აჰა, გამოართვი — გულს ყურს მოგიმატებს, — გამოცდილ ექიმით ჩააცივდა შვილს ეფემია.

— მოიცა, ქალო, ე ხმელ პურს რომ აძლევ, იქ არ დაიხრჩოს, — უთუოდ ყელზედ დაადგება, — შენიშნა მეუღლემ.

— არ წახვიდე, სანდრო, არ წახვიდე, — მოსძახოდა სამხარეულოდან მოხუცი თინია, რომელიც უილაჯობის გამო პეტრეს ოჯახს შეჭფარებოდა სიბერის დროს, თან თავის გამრჯელ ხელს არ აყენებდა და მთელ სამხარეულოს საქმეს თითონ აკეთებდა, — აი ეს ქვები უბეში ჩაილაგე, შენ ბედობაზედ შევლოცვინე მკითხავს, ზღუდრის წმ. გიორგის სახელზედ არის, ვენაცვალე მის ძლიერებას, — პირჯვრის წერით ამბობდა თინია და უარზედ დამდგარს სანდროს უბეში შელოცვილ ქვებს ულაგებდა.

სანდროს წასვლის შემდეგ პეტრემ ძველი გაწმენდილი „სერთუკი“ ჩაიცვა და ჩაის შემდეგ ოთახში ბოლთას ცემა დაიწყო.

— დღეს 50 წლის შევსრულდი, ჩემი დღეობაა, ეჰ, ეფემია, რომ იცოდე რა ბედნიერი ვარ!.. ხუმბრობაა ნახევარ საუკუნე განვლიე, მთელი ორ-



მოცდა ათი წელიწადი, გესმის? მერე კოლუესკი სეკრეტარი კაცი „ზალუეიონი“ ჩინოვნიკი კანტროლნი პალატისა... არა, ჩემი დაბადების დღეს მე უთუოდ ჩინს მომცემენ უთუოდ, გესმის ეფემიავ, მე ღირსი ვარ. მგონი ეხლა ჩვენი სტოროჟი პროტორი ჩემთან ზოდის, რომ დაბადების დღე მომილოცოს, თითქოსვგრძნობ რომ კარებში შემოსული გაბედულად მომადახებს: „პოზდრავლიაუ, ვაშებლოგოროდზე, სდნიომ როყდენია ი პოლუჩენიემ ჩინაო,— გესმის, ეფემიავ, „ვაშე ბლოგოროდზეო“ და „ჩინიო,“ გესმის? არა უთუოდ მოვა და მომილოცამს, მე უჩინოდ არ დამავდებენ.

კარგა ხანს ბოლთას სცემდა ჩვენი პეტრე, კოლუესკი სეკრეტარი, ჩინოვნიკი კანტროლნი პალატისა; ეფემია კი სახლს ალაგებდა და სიამოვნებით ყურს უგდებდა ქმრის ლაპარაკს, ხოლო ჩინის მოგონებაზედ ტანში ჟრუანტელმა დაუარა და სინამ არ შესძახა: აბა, მიჩვენეო.

— არა, პროტორი ხანდისხან მორცხვიც არის, იქნებ ვერ გაბედოს, მოსცლა? მოდი პალატისკენ გავივლი და ვიცი ფანჯრიდან დამინახავს თუ არა, მაშინვე მომილოცამს, არა, ეფემიავ? ჩასჩინებდა პეტრე ეფემიას და თან ქუდს და ჯოხს ეძებდა, მაგრამ...

მოხუცი თინია გაფითრებული შემოვარდა და ყრუდ წამოიძახა.

— სანდრო ჩაიქრა, „ცეზარი“ უკითხავთ.

მთელ ოჯახში ორომ-ტრიალი დატრიალდა, ორი წუთის წინედ მხიარული პეტრე, ეხლა კედელს მიყუდებული, საცოდავად ხრიალებდა.

— ჩამშხამდა... ჩამშხამდა დღეობა!..

გაფითრებული ეფემია შვილსა სწყევლიდა, ხოლო მოხუცი თინია ეგზამენების მომგონს საქალავს უგებდა და „ცეზარის“ წიგნებს კი ცეცხლში დაწვას უქაღდა...

**ვ. თამროშვილი.**

**სამოგზაოვ...**

ღამე კაშკაშა, გაბრწყინებული და ბულბულთ სტვენა მომხიზვლელია; ბუჩქებში სატრფო გულზე მიკრული გამოუთქმელად საყვარელია...

მაგრამ, სამშობლოვ, დიღო სიცოცხლევ, შენდამი ტრფობა უფრო დიღია, და რაც მოგშორდი ჟამთა მწარედ ვლევ, ცრემლის მდინარე თვალით მკიღია.

**ი. მჭედლიშვილი**




**სცენები სცენისათვის**

**გაჯავრებული ბაღდასას**

კაცო, ამისთანა ცეცხლი გინახამთ? წინათ „კაზიონი აქსიზნების“ მეშინოდა, ეხლა-კი ჩემ დუქანში გამიჩნდა „დამაშნი“ პოლიცია! ამას წინათ ერთი სოფლელი ვრაცუა შამოვიდა დუქანში და პატარა რაღაც, ერთი 20 თუმნის საქორწილო სავაჭრო უნდოდა. მეც ზოგი მიუზომე, ზოგიც მიუწონე და, როგორც იცით, ვაჭრობის ანგარიში: დუქნის ქირა, ბიჭების საკმელ-სასამელი გამოვედი შიგ. ან რა დიდი საქმეა, რომ კაცმა არშინში ერთი ჩარეჟი აჰკრას და გირვანქაში ჩეთვერი! მაშ როგორ გაუძლო ამდენ მკამელებს: ეს ბიჭებიო, ეს გოროდოვოიო, ეს „აკალოშნიკიო“, ეს გოროცკოი უპრავაო, ეს „ცოციალნი კომიტეტიო“, იქაც ვაძლევ არა თვეში სამ შაურს! ყველა ამეების ანგარიშს ვეწევი და დროების შესაფერად ვიქცევი. მაშ რა ნაირად ვიცხოვრო ქვეყანაში?!

საქონელი რომ მიუთვალე იმანაც ამოიღო ფული და მაძლევს, მივარდა ის ღვთისგან შეჩვენებული და საკირეში დასაწვავი, ჩემი პრიკაშიკი, იმ პატიოსან კაცს და ამოღებული ფული ისევ ჯიბეში ჩაადებინა. ხუთ თუმნის საქონელში ოც თუმანს აძლევ?! ვერა ხედავ, რომ სასწორშიაც მოგატყუა და არშინშიაცაო?!.. ადგა ის კაციც გაშტერებული და წავიდა. დამრჩა ის მოკრილ-მოზომილი საქონელი დუქანში და ერთი ორათ ვიზარაღე ისეთი ჯავრი მომივიდა, რომ, წმინდასურფ გეურქის მადლმა გადავწყვიტე უნდა მამეკლა. ამოვიღე ჩემი „პარაბელცი ლევროვი“ და ის იყო უნდა გამეგორებინა, მგრამ მამაგონდა, რომ ჩემი ცოლი მაქთალა ფეხმძიმეთ იყო. ვიფიქრე შიშისაგან მუცელი არ გაუფუქდეს მეთქი, თორემ ხომ უძეოთ ამოვწყდი მეთქი. ოცდა ხუთი წელიწადია ერთათა ვცხოვრობთ, უშვილო ვიყავით და ამ სიბერის დროს, მადლობ შენ ღმერთო, ძლივს დაორსულდა. ყოველ ნიშუთში ველოდები, როდის იქნება ერთი ნასლედნიკი მეღირსოს და ჩემი ოჯახის სანთელი არ გაქრეს-მეთქი. მოდი ეხლა და ამ ჰარამ-ხადისათვის ეს ბედნიერება დაკარგე!.. მერე ვის უნდა დარჩეს ჩემი ქონება? ამ ჩამოსახრჩობ ცოციალისტებს?! არა, ბაღდასარ, ცოტა დაფიქრდი მეთქი, უთხარი ჩემს თავს და ჩავიდე ლევროვი ჯიბეში. მივევარდი გაჯავრებული და ვებნები: ბიჭო, შვილო, რა გინდა ჩემგან? თუ არ მოგწონს ჩემი ანგარიში, რაც მოგიტანია უკან წაიღე და მიბძანდი მეთქი. „არა მე რათ წავალო, მე აქ უნდა ვიყო, რომ



ველარ გაბედო საწყალი ხალხის მოტყუებაო!... სიბრაზისაგან ისე გავიბერე, როგორც დაგრეხილუას სამოც ვედრიანი რუმბი. ვეუბნები: ბიჭო, შენ რომელი „პრაკრავიტელნი ობჩესტვას“ ჩნელი ხარ, რომ ასე ხელს აფარებ ყველას მეთქი?!..

არა, ემაგას იძახდით: მინიფესტი გამოვიდა, თავისუფლება დაგვიდგაო?! რის თავისუფლება კაცო, შენ გემოზე ველარ გივაჭრია, რომ უჩინარი „ტიანი პოლიცია“ არ დაგადგეს თავზე!.. მაგრამ, ვენაცვალე ღმერთს, ეს თავისუფლებაც ნელ-ნელა ხომ მიაქვთ უკან... იქნება გველირსოს და ძველებურათ შევატრიალოთ არშინ სასწორი, თორემ მალე ისეთ დღეში ჩავცვივდებით, რომ დუქანი-კი არა, ვინ იცის, მალე ჩემი ცოლი მაქთადაც „აუქციონი ტორლით“ იყიდებოდეს სალდაც კი ბაზარზე!... Да! Бюлд что старомъ времяя вернуля а новаяа жъанაбаში пропалъ!...

**პეტუა**

**ქართველ გლეხის სიტყვა**

შორს ჩემგან, ქართველ მარქსისტო, ნუ ამირიე დავთარი. იკმარე რაც რომ მატყვილე, ნუ გადალახე საზღვარი!

დღეს მეც გამეხსნა გონება არავარ „ცენტრის“ მდომელი, მწამს და მსურს „ავტონომია“, იმისგან შეველას მოველი!

**ალ. ჩახუნაშვილი**

**„ნიშადურის“ ლექსიკონი**

**ანს** პირველი ასოა ანბანში. ჩვენებურმა მარქსისტებმა ამ პირველ ასოს მეტი ვერა იწამეს რა და ვერც ვერა ისწავლეს-რა...

**ანალი** ყველაფერი კარგია, მაგრამ ყოველთვის-კი არა, განსაკუთრებით ის ანალი, რომელიც ძველს მოგანატრებს და მოგანდომებს...

**ათინა** საბერძნეთის დედა ქალაქი იყო და არის კიდევ, ხოლო ესლა ყველგან ათინაა, სადაც „ათინური საღამოები“ იმართება ვნებათა ჟინის დასაკმაყოფილებლად.

**ასოთ-ამწყობი** ამ დროული ბატონ-პატრონია ჟურნალ-გაზეთებისა, უნდა ააწყობს და გამოუშვებს უნდა „ზაბასტოვკას ჰკრავს“ და არ გამოუშვებს.

**ალიონი** განთიადია ქართველ ესდეკების ავტონომიურ მიწრაფებაში, რომელიც, უეჭველია, ჩვენს კვალს დასტოვებს ცხოვრებაში.

**ანტონ** ჩვეულებრივი სახელია, რომელიც უკლებს ყველანა. ფურცელაძემ იმით რომ ანტონს ილიას მაგნიტობა უნდა გაეწია...

**ალაროდელი** ძველს ქართველს ნიშნავს, რომელმაც ჩვენი ძველიც და ახალიც ზედმიწევნით იცის და ამიტომ შესანიშნავად გაგუდა „ნიშადურში“ ქართველ მარქსისტების მამა მთავარი ნოე ყოვრდანი და მისი მეჭამბარი ანი და სხვებიც...

**არწივი** ჩვენში ერთად ერთი იყო და ისიც მოკლეს, მის მაგიერობას ესლა ყვავი ვწვევა და ყოვრანისავით თავს დასჩხავის არწივის ბუდეც...

**ანახინი** და სისთილინო!—წამოიძახა თედო კიკვაძემ და მოასვენა ქართული მწერლობა და თვითონაც მოისვენა მარქს-ენგელსის დემაგოგიურს წიანსა შინა.

**აქტორი** ქართულის თეატრისა ის ვითომდა ადამიანია, რომელსაც მხოლოდ ოთხი-ხუთი თვე გაჩნია წელიწადში საცხოვრებელი და მიუხედავად იმისა რომ ურწმუნო და გარყვნილია შვიდრვა თვეს სულის საქმეშია და ჭეშმარიტად მარხულობს...

**აქტრისა** იმავე პირობებშია როგორც აქტორი იმ განსხვავებით, რომ არაფერს არ მარხულობს და ყველაფერს კადრულობს...

**აზიანი** ცნობილი ესდეკთა პოლიტიკური მოღვაწეა, და შესანიშნავი დრამატურლი, რომლის განთქმული ნაწერები გადათრგმნილია ყველა ინდო-ევროპიულ ენებზე. ესლა აზიანი აფრიკის ბუშმენებში მოგზაურობს ზრდილობის და ფაქიზობის შესასწავლად.


**ანობაძე** კაცობრიობის კეთილის მყოფელია განსაკუთრებით იმათი, რომელთაც „კაობა აქვთ დაკარგული“, მისი სპერმანტინი მოხუც აჯეილებს, დამდგარს აყენებს და მკვდრებს აკოცხლებს, თუმცა-კი ყველას ასულელებს...

**აბაზი** ქართული ფულია და ის მინიმუმი (უმცირესი) ბეგარა, რომელსაც ართმევენ ქართველ მუშა ხალხს ქართველი ესდეკების ორგანიზაციები.

**აკაკი** ის დიდებული სახელია, რომელსაც მთელი საქართველო შეხარის და რომლითაც საფუძვლიანად ამყავს. შემოდგომაზე ნოემბერში უნდა იდღ სასწაულონ ამ სახელის პატრონის 50 წლის სამაგალითო მოღვაწეობის იუბილვი ქართველი ერის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. აისწორედ მაშინ გამოჩნდება ქართველებში სიტყვა და საქმე ერთია თუ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, შუა უდევს დიდი ზღვარი“...

**მონადირე**

P. S. ესთხოვთ ნიშადურის თანამშრომლებს და მკითხველებს მოგვაწოდონ პრაგინციიდან ამ ლექსიკონისთვის მასალები.





**სასოფლო სასამართლო**

სიმართლით საჯეთ მსაჯულნო

არ აპყვეთ მუცლის ვნებასა:  
არ გაამტყუნოთ მართალი  
მიპყეთ იესოს მცნებასა.

ვიცი რომ გიყვართ ხანდახან  
სავსე დოქი და კალათა...

კიდევ ეს არის მიზეზი  
თეთრს რომ აშავებთ ძალათა.

**რაჭველი შურდული**

**შურ-მოკრული საუბრები**

- თქვენი ბავშვია?
- დიახ.
- რა შშვენნიე ბიჭია!
- რუსულიც იცის...
- მართლა? აბა სთქვი რამე, ჩემო კარგო!
- Грузо голпято
- საუცხოვოა! ბედნიერი კაცი ხართ!

\* \*

— ესდეკი მენშევიკი, ესდეკი ბოლშევიკი და  
ესდეკი ავტონომისტი გაცხარებით კამათობდნენ...

- ორჯერ ორი—ხუთია!
- არა, შვილია!
- შვილი კი არა რვაა!
- იქნება ოთხიაო? კრძალვითაა ჩაერია კამათში  
ქართველი გლეხი.

\* \*

— ვის გაუგონია ყურები შუბლზე მალლა  
იყოსო? უმტკიცებდა ბრახმორეული ანტონ ფურცე-  
ლაძე ალექსანრე ხახანაშვილს.

— მაშ ვირებს ყურები შუბლზე მალლა რად  
ასხიათო? გესლიანად მიუგო ხახანაშვილმა.

— ამიტომაც ვირის ტლინკები სატკენია და  
არა საწყენიაო!.. ღიმილით დაემოწმა ივანე გო-  
მართელი.

**სკვითი.**

**დაბავებუბული**

რად დამატყვევეთ, ბოროტო,  
რა მქონდა დანაშაული,  
რომ უსამართლო სასჯელით  
დამინადვლ-შხამეთ გლახ გული?

ვის რა წავართვი, ვინ მოვკაღო,  
ვის მოვეპყარი მტრულადა,

ან ვის შევცოდე, ვინ ვლენდენსუქი  
და ვინ ვახსენე ცუდათა...

რომ ვერ გაუძეღ მეთ შრომას  
და უსამართლოთ ტანჯვას,  
რაც მოვინაგრე ოფლის ღვრით,  
სხვა რომ მართმევედა იმასა;

გულ-ხელ დაკრეფით მეცქირნა,  
არ მეთქვა საყვედური?  
არა, ბოროტო, ამ გულზე  
ბევრი შეგროვდა წყლულია;

ნადველიც ბევრზე—ბევრია,  
სევდა, ვარამი, კირიცა;  
შენთვის ღხენაა, გულ სვავო,  
სხვის კენესა გასაჭირიცა...

არ ვდარდობ მე აწ ტყვეობას,  
საკანი ჩემთვის შვებაა,—  
სიმართლისათვის დაჩაგვრა  
და ტანჯვაც ნეტარებაა.


დრო მოვა, მჯერა გამოვალ,  
გადავიქმნევი კაჟადა  
და ჩემს უბრალოდ დატანჯვას  
გინაზღაურებ ასადა...

**გ. ლადოშვილი.**

**ოთხი წლის სამსახური**

(გაგრძელება იხ. № 57.)

ერთი „შირფი სუდის“ სურათი ჩაბეჭდა მესხიე-  
რებაში. ნამდვილი ტიზი იყო ძველებური ჩინოვნიკის.  
სხით იქნებოდა წნ წლას, მაგრამ ჯერ კიდე მსნე თავ-  
შენახული იყო. უეკარდა ცხენოსნობა, ზედ-მიწევნიით  
იცოდა ცხენის ჰიგიენა, რამდის შესასებაც მუსაიფი  
არ მოეწეინებოდა თუნდა მთელი ერთი დღე. მსკვავუ-  
რი რუსული ენით ღაჰარაკობდა, დაღაკებით, მწეობ-  
რად, სსსიამოვნო ბოხი სხით. იტყოდა, შაქარი ამოდის  
პირიდანო. სსმაგალითო ზრდილობიანი იყო ჩინოვნიკე-  
ბთან, პირში ქება უეკარდა მგზახურობის დროს სულ  
მუსაიფობდა, თუმცა ამები უბრალო, უმინაარსო იფ-  
ნენ, მაგრამ სეფონური დირსებით სიბლავდენ მსმე-  
ხელს და გზას უმოკლებდნენ. არც ერთხელ არ მომ-  
წეინა იმასთან მგზავრობა. დრო გამშეებით ეს მოხუცებუ-  
ლი კაცი ისე მოქუსდავდა ცხენს, რომ ახალ-გაზდებს  
უჭირდათ მიუფდა. ყოველ დღე ოთხი ვერსი უნდა გა-  
კარა ფეხით. ერთი სიტყვით, ტანით მსნე, ჯერ კიდე



ჯან-ღონით სავსე, ენერგიული, ხელფურთი ნიჭით და-  
ჯილდოვებული და კარგი მოლაშარაკე იყო.

მაგრამ ყველა მისი დინსებათ ჩრდილავდა მისი  
მასინჯი მიმართულება. სამეცნიერო წიგნების კითხვას  
არ იყო მიხვეული. მამას ჩაენერგა მის გულში შიში და  
სიძულვილი სოციალისტთა და არა რუსთადმი, „სტუ-  
დენტობა,“ — იტყოდა ხოლმე, — რამეღნიც კი სოცია-  
ლისტობდნენ, არაუგონს არ აკეთებდნენ, მხოლოდ ყვი-  
როდნენ, დრინტობდნენ და ასე გასინჯეთ, თანამედ-  
როვე პოლიტიკურ რეჟიმსაც კი ძირს უთხრიდნენ.“  
უგანასკნელ სიტყვებს ისე განმტყულებდა ხოლმე, რომ,  
ეტიუბობდა ჯერ კიდევ ვერ მოხელებოდა თავისი გაკვი-  
რება და უმიძიმდა სხვასთან ღაპანაკის ჩამოგდება ამ სა-  
განსე. აი რა ძნელია ცუდი აღზრდა! მკაცრი და სას-  
ტიკო მამის ჩაგონებით ახალგაზნად სტუდენტი ხელფ-  
ურე კედელს ამოფარებოდა, რომ სხვისი მიმართულება  
არ დაენახა, სხვისი ცოდნა არ შეესწავლა, სხვისი გა-  
მოდრილება არ შეეძინა, ერთი სიტყვით ცხოვრებას ჩა-  
მომოკრებოდა და თვალი ვერ ახილდა, ბრძიდ დარჩენი-  
ლიყო.

ხელფურთი ნიჭი კი, მართალი მოგახსენებთ, უხ-  
ვით ქოდა მიმადლებული. გადაჩერდებოდა რამეღისა-  
მე მადლობიდან არე-მარეს და იტყოდა; „რა მშვენიე-  
რი ბუნებაა! რა სხვა და სხვაობაა! პეტრობურგში ესეა  
ბნელა, მზე არ ანათებს, სინესტე შეფობს, ცივია; აქა-  
ურობას კი სამსრეთის მზე ათბობს ანათებს თავისი  
ცხოველ-მოფთვლი სხივებით. იქ სიცოცხლე გებზრდება,  
აქ კი გული მხიარულობს, სიცოცხლე გწეურია, სტკბე-  
ბი მშვენიერი ბუნების მზეერთ. ბუნება უსამართლთა:  
მთელი თავისი მომჯადოებელი ძალები აქ გაუფანტავს“  
და სხ. ისეთი ფერადი სიტყვებით აღწერდა არე-მარეს  
ისე ხელფურთად გამოსახვდა, რომ უმადლეს ესტეტი-  
ურ სამომრებას გაგრობობინებდა. მაგრამ, საუბედუროდ,  
მოყინისტი იყო. და თავის მომჯადოებელი საუბრიდან  
მოულოდნელად მერად, უშვერ ღანძღვა-გინებაზე და  
თრევაზე გადადიოდა. ყოველ თავის საუბარს ამ სიტ-  
ყვებით დაბოლავებდა: „ჰე, დმერთო ჩემო! რა სამწუ-  
ხარაა, რომ ასეთი მშვენიერი მიწა-წყადი უჭინავსთ  
ზარმაც, უგნურ და უსინდისო ქართველებს! აქ რომ რე-  
სები ყოფილიყვნენ, ეს ქვეყანა სამთხე იქნებოდა. ნუ-  
გეშად მხოლოდ ის დაგვრჩინია, რომ ქართველები ღო-  
თები არიან და გადაშენდებიან. ფრთხილად უნდა ვი-  
ყოთ, რომ სომხებმა არ ჩაივდონ ხელში საქართველო  
და უნდა ვეცადოთ რიგინად მოვაწყეთ რუსების გად-  
მოსახლების საქმე,“ და სხ. ქართველს რომ დაინახვდა,  
ბრახი მოერეოდა, საშინელი მოუღვარება და სიმკაცრე გა-  
მოყხატებოდა სახეზე. თუ ცხენზე იჯდა და უცბად ქართ-  
ველი გლეხი შეეფთებოდა, გული არ მოუთმენდა, რომ

მათრახი არ შემოეჩინა. „მათრახით აგიტყავებ სურგ-  
საო“, დაიჭვივებოდა, მაგრამ მშისარა ყუი რე მქარან  
ცალიერ სიტყვად რჩებოდა.

ქართველთადმი ზიზღს ჩემთახანც-კი ვერ ფარავდა  
და, რომ ჩემი გული მოელობ და დავემშვიდებოე. ზიზღი  
მაქებდა. ერთხელ მკითხა: „შენებრ ნიჭიერი და ზატიო-  
სანი კაცი არ მინახავს, ყველაფრით სრული ხართ: ტა-  
ნით, ნიჭით, განათლებით; მაგრამ, მიკვირს, როგორ  
მოამოკვებიან კიდევ ქართველთა შორის კანტი-კუნტად  
ნიჭიერი და სინდისიერი კაცები: ყოველი ქართველი  
ხომ სიმთვრალეშია ჩასახული და აღზრდილია“? მე მი-  
ვუბე: „სწორედ ეგ უნდა მკითხას მეც თქვენთვის თქვენი  
ერის შესახებ, რადგან, ვინ არ იცის, რომ ღოთობა  
თქვენში უფროს გავრცელებული თქო“. ჩემი ზასუხი ისე  
ეწეინა, რომ ზიზღს სახე დაუძმარდა და შეწუხებული  
კაღოთი მომიგო: „გარწმუნებთ, ჩვენი „მუჟიკა“ ღარ-  
დისა და მწუხარების გამო ღოთობსო“.

ერთხელ „სუდა“ და მე ერთ სოფელში წავუდიით  
მოკლულის შესამოწმებლად. — გამომძიებლის თანამდებო-  
ბას ასრულებდა. — მამასახლისის სახლობას ვეწვიეთ. თუ-  
მცა თვით მამასახლისი შინ არ იყო, ზატივი გვცეს,  
„სამოვარი“ დაგვიდგეს, ვასშმის მზადება დაწყეს. ზა-  
ტარა ხანს უკან მამასახლისიც მოვიდა გვარინანად შეზა-  
რსომებული, მოგვესაღმა და ხელი ჩამოგვართვა რისა-  
ვე „სუდაში“ იუკადრისა ხელის ჩამოთმევა: მკით-  
ხება: „მე, „სუდას“, „სტატსკი სოვეტნიკს“, უბრალო  
მამასახლისის ხელის ჩამოთმევა როგორ გამოიბედა“?!  
მეტი ჩარა არ იყო, უნდა მოეთმინა შეურაცხყოფა, ვან-  
შმად რომ ვისხედით, „სუდა“ სულ ქართველებს აგი-  
ნებდა, ღოთები, გაუფუტებული არიანო. მადლობა დმერთს,  
მასშინძელმა რუსული არ იცოდა, თვარა შენს მტერს,  
ჩვენ რომ ის დღეს დაგვაქებდა. ორი კვირის შემდეგ,  
როცა ერთად ვიყავით ყველა „ჩინოზნიკები“, მასრის  
უფროსმა გაცოცხა ერთი ზრისტავი. „როგორ აღვიზრ-  
დიით საღხიო, უჯავრდებოდა: აი, მაგალითად „მირკვი  
სუდას“, „სტატსკი სოვეტნიკს“, ერთ სოფელში მამა-  
სახლისმა ხელის-ჩამოთმევა გაუბედა. საღხს ხათრი  
და შიში აღარა აქვს თავს არ იფასებთ. თუ მარჯვედ  
არ იქნებით, ზატარა ხანს უკან ზედან აღარავინ შემო-  
გხედავთ, აღარაფრად აღარ ჩავაგდებენ და შეიძლება,  
ბეკარის ასაკრებად რომ მიადგებით ვისმე კარზე, სასლ-  
შიაც აღარ შეგიშვან და კარედ, როგორც უბრალო  
ჩათარს, მოგაწოდონ გრამებთან ერთად ერთი ჭიქა არა-  
ეი“! და, ვინ იცის კიდევ, რა არა თქვას.

ეპიმი

(გაგრძელება იქნება)



ქართველი მეცნიერი



ივანე თარხნიშვილი

ბედი არ გვწყალობს ქართველებს!...

27 ივლისს გარდაცლილ ვასალ პეტრაშვილზე ჯერ კრემლი არ შემოიბრუნა ქართველებს და ორი კვირის შემდეგ 12 აგვისტოს ავსტრიაში კრეტოვიჩში გარდაიცვალა ცნობილი და მსოფლიო მეცნიერი პროფესორი-აკადემიკოსი ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი.

ორივე ქართველი მეცნიერი გარდაიცვალნენ სამშობლოს მოშორებით საზღვარ-გარედ: ერთი — გერმანიაში, მეორე — ავსტრიის ბოდენში.

ივანე თარხნიშვილი ქართველი თავადიშვილია სოფელ ახალქალაქის მცხოვრები, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შთამომავლის დაიბადა 15 ივნისს 1846 წელს ქ. ტფილისში გენერლის ოჯახში. 14 წლის იყო როცა პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. როცა მეორე კურსზე გადავიდა მოისურვა სამხედრო საქიმო აკადემიაში შესვლა და მართლაც ისევე პირველ კურსიდან დაიწყო სწავლა; 1866 წელს აკადემია დაასრულა, მაგრამ მთავრობამ იქვე დატოვა სამის წლით, მერორის წლით საზღვარ-გარედ გაგზავნეს, სადაც ისმენდა ლექციებს ცნობილ მეცნიერებთან შარკოსთან ფლოდ შერნართან და სხვებთან. 1870 წელს უკვე პრივატ-დოცენტად იყო აკადემიაში. ორი წლის შემდეგ პროფესორის კათედრა მისცეს.

ოთხმოცდაათიან წლებში აკადემიკოსობა მისცეს. ივანე თარხნიშვილი ბევრით მკვლევარი იყო ფიზიოლოგიურსა და ფსიხოლოგიურ მეცნიერებაში. მას მრავალი გამოკვლევა და ნაწერები აქვს.

როგორც ლექტორი და პროფესორი იგი შეუდარებელი იყო. მისი აუდიტორია მუდამ სავსე იყო, ხალხით განსაკუთრებით მდაბიო ხალხი ესწრებოდა მის საჯარო ლექციებს.

ამ ცამეტი წლის წინედ 2 მარტს 1895 წელს დიდის ამბით გადაიხადეს მისი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე, იმის შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში მეცადინეობდა.

ივანე თარხნიშვილი განსვენებული პეტრიაშვილისავით საყვარელი და მამნიბლავი ხასიათისა იყო და ახალგაზრდობა აღმერთებდა ორთავეს. ამას გარდა იგი ცნობილი იყო როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე და მოწინავე, პროგრესიული კაცი.

უკანასკნელ ხანებში გულის ტკივილით ავადმყოფობდა და შარშან ზამთარი თავის სოფელში, ახალქალაქში გაატარა, მაგრამ გამოკეთდა ცოტა თუ არა ისევე პეტერბურგის უნივერსიტეტს მიაშურა, მეცადინეობამ მალე მოალა და ისე დაასუსტა, რომ წელს იძულებული იყო საზღვარ-გარედ წასულიყო საქიმოდ.



სატრფო. — ტუმონის ნახატი.





† სისო მიქალაძე  
1876—1908.

იშვიათთ მახსოვს, რომ ამდენი გულწრფელი ცრემლი დაფქრვეულიყოს. სისო მიქალაძეს ტიროდა ისიც, ვინც პირველ გაიგო, რომ იგი დედის ერთა ახალგაზდა იყო. ხოლო ეს ტირილი ბევრ წილ გაორკმცებული იყო სისოს ნაცნობ-მეგობართაგან. სისო იმედიანი ახალგაზდა იყო, კარგი მეგობარი, სათნო გულის, ჭკვიანი, განვითარებული. სტუდენტობაში ამის აზრს, რჩევას, მსჯელობას ფასი ჰქონდა. პატივისცემა და სიყვარული სამართლიანათ დამსახურებული ჰქონდა ყველასაგან. რა დიდი ნაკლისია ასეთი ყოვლის მხრივ სრული ახალგაზდას დაკარგვა ჩვენის დაქვერებულის საზოგადოებისათვის... იგრძნო ამ საზოგადოებამ ესა და გამოხატა ნამდვილ და გულ-წრფელ ცრემლთა დენით

თ. პ.

**სისო მიქალაძის ხსოვნას**

მდიდარს, და ჩაგრულს ქვეყანას, — მდიდარს ბუნებით, დაჩაგრულს ბედით, ქვეყანას ღარიბს ერთგულ შვილითა, და გამდიდრებულს მეტიჩარ-ყბედით

შენებრ მდიდარი ბუნების კაცი რო დააკლდება, — დიდი ჭირია! შივი ყორანი თავსა დაგეჩხავის... ერთგული შვილი ამ დროს ძვირია!


მაგრამ სიკვდილი დაუნდობელი თავის სიმტიცეს როს განიზრახავს კეთილისაგან არ არჩევს ბოროტს და საიმედოს უდროოდ მარხავს!

რა დაგვრჩენია?... გულის სიღრმიდან ამონაკვენესი წუხილი, გლოვა! უღეთო არ იყო მისი სიკვდილი!.. სოსო დავკარგეთ. . გამოგვეთხოვა!  
**თომა პუსა.**

**ლევ ტოლსტოის წინამორბედი**

**ჰენრი დავით თორო**

ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქ კონკორდში დაიბადა 1817 წელს, 12 ივლისს ჰენრი დავით თორო. იმ დროს კონკორდი ჰაწია ქალაქი იყო, ჩვენი ჰატანა



ჰენრი დავით თორო,

სამაზრო ქალაქების მსგავსი. ამ მხრივ ბედნიერი იყო ჰენრი თოროს ბავშობა. დიდ ქალაქებში დაბადებული ბავშვები ტყესა და მინდორ-ველებს მოშორებულნი არიან: მტკრიან ტალახიანი ქუჩები ყოველ მხრივ გაუვალ ტიხეებსავით ამართული დიდი სახლები, — აი ის ბუნება, სადაც დიდ ქალაქში დაბადებულმა ბავშვებმა საცოდავად უნდა გაატარონ თავისი სიცოცხლე. აბა თუ ოდესმე დაინახავთ მოფუსფუსე ხალხით სავსე დიდ ქალაქის ქუჩაში მსუბუქ, ჭრელ ზეშელას, რომელიც ზოეტმა ჰეარში მონაჯარდე ცოცხალ ვეჯვილს შეადარა. აბა თუ გვაჩვენებთ მაგარი ქვებით მაგრად მოკირწოლულ დიდ ქალაქების ქუჩაში თავისუფლად მფრინავ სხვა და სხვა ჩიტებს, თუ გაიგონებთ იმათ მხიარულ ჭიკჭიკს. ამ მხრივ ჩიტები დიდ ქალაქში დაბადებულ ბავშვებსე უფრო ბედნიერნი არიან; იმათ ეჭავრებათ მტკრიან ტალახიანი ქუჩები, ეჭავრებათ დიდი სახლები გასურებულ რკინის სასურავებსე ჯდომას, უფრო ამწვანებულ ტყეებსა და მინდორ-ველებს ეტანებიან. ფრთა-შესხმული ჩიტები იქ დაფრინავენ, სადაც იმათ გულს ენატრება. ქალაქის ფრთებუსხმელ ბავშვებს-კი ფრენა არ შეუძლიათ, ამიტომ ძალა უნებურად თავის ბედს ემორჩილებიან და დიდი ქალაქის ქუჩაში ატარებენ თავის სიემწვიდეს.

ჰენრი თორო. როგორც გითხარით, ჰაწია ქალაქში დაიბადა, რომელიც ძლიან ჰგავდა სოფელს და ცარე-შამო ამწვანებულ მინდორ ველებითა და ტყიანი გორაკებით იყო გარშემორტყმული. ჰაწია ჰენრი უკვე ბავშობიდან დაუახლოვდა ზეშელებს, ჩიტებს, ვეჯვილებსა და მტკნარებს და სიკვდილამდე მათი ერთგული მეგობარი დარჩა. დარბიი ოჯახის შვილი იყო ჰენრი. მამა მისი სახლების სადებავ ხელ-საწოტს ამზადებდა და ამით

ორხენდა თავსა და თავის ოჯახს. ექვსი წლის რომ შეიქნა, ჭენრი უკვე თავისი დედამისს ეხმარებოდა. იმათ ერთი ძროხა ჭევადათ და ამ ძროხის მწყემსად დააყენეს ჰაწია ბავში, იგი ყოველ დღეს მიერეკებოდა ამ შინაურ ჰორუტყვს იქვე მათი სახლის ახლოს წყლის ბინად გაშლილ მინდორზე და მოხრდილ მწყემსსავით უკვლიდა.

ამ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობდა ერთი უფადად საზოგადოება, აწ უკვე გამჭრდილი დაწესებულება ზანგების მონაბა ცხელი ქვეყნიდან, აფრიკიდან, მრავალი შავ კანიანი აქაური მკვიდრი ხალხი გამოიყვანეს ამერიკაში და ადგილობრივ მემამულეებს მიჰყიდეს. ადამიანი ადამიანის საქონლად, მორჩილ ზორუტყვად განადგურეს რასაც ზატონი უბრძანებდა რა სიმუშაობედაც დააყენებდა. უსიტუოდ უნდა შეესრულებოდა; თორემ მწვავე მათრახები ან რამე სხვა მძიმე სასჯელი ელდა. დიდი ქალაქების ბაზრებში შავ-კანიან ზანგებს, — კატებს, ქალებს და ბავშვებს, შინაურ საქონელთან ერთად ჭეიდნენ; აქ იქ ბაზრის დიდ მოედანზე ამართული იდგა დიდრინი ხის სვეტები, რომლის გარშემო შეკრული იყო სხვა და სხვა შინაური ჰორუტყვი და შავ-კანიანი ხალხი — ზანგები. სვეტზე მდგა მიტედილი იყო ფიცარი შემდეგის წარწერით: აქ იყიდება ამდენი და ამდენი ცხენი, ხარი, ძროხა და მინები. კაცი, ქალი და ბავშვი.

დიდი ხნის განმავლობაში გამოფრებული იყო ეს საზარელი მონაბა ამერიკის შეერთებული შტატებში. გამწარებული ზანგი ემები ხშირად თავს ახვევდნენ გაუბრძობენ თავის სასტიკ ზატონებს და იმათ გულშემატკივარ ოჯახებში ექებდნენ თავ-შესაფარს. ყველა დაზარალებული საწვალ ადამიანთა შემბრალბელებ ოჯახთა მორის ჭენრის ოჯახიც იყო. გაქცეული მონები იქ ჭემაფლობდნენ თავ-შესაფარს და ადამიანის გულის მაცოცხლებელ ძმურ სიყვარულს.

ჰაწია ჭენრი ურგბ-ატქეტილი და სულ განახული ისმენდა ხოლმე მათი სტუმარი მონა ზანგების გულის ამხეუბელ ამბავს. იგი სმენად იყო გადაქცეული: მონობიდან გაქცეულ ადამიანის მწარე თავ-გადასავალი, ამისი თვითი სიტყვა, ღრმად ეწვეთებოდა მკობრივად გულში ჭენრის და ბუნებით „ქრისტიანმა“ ადამიანურმა გულმა ბავშობიდან ასწავლა ჭენრი თორის ყველა ჩაგრულთა შემბრალბე და გაუღვიბა ცხოველ მოყოლილი სურვილი ტანჯულ ადამიანთა დახმარებას.

სკოლაში გაკეთილებიან შესწავლა არ აკმაყოფილებდა ჭენრის. იმას ადრე ადრეა წიგნების კითხვის სურვილი და გარეშე ბუნების, ტე-მინდორ-ველის შესწავლის სიყვარული. თორის გულით უყვარდა მცენარე, ბაღანი, ფრინველები, მწერები და ყოველნიანი ცხოველები. ისე დაუხლოვდა ყველა ამით ჭენრი თორის, რომ

შემდეგ იმისი მკობრები ამობდნენ: ჭენრის ნამდვილი სამშობლო ქალაქი კონკორდი კი არ ახლოს, [წინა] [წინა] [წინა] ქალაქის გარშემო ატეხილი ტყეები და [წინა] [წინა] [წინა] ღი გორაკები, იმისი თანამემამულე ხალხი კი ქალაქის მცხოვრებლებზე უფრო — ჩიტები, ცხოველები, ბუბელები და ბუნახალები. — მართლაც ბუნების მოსიყვარული თორის ისე დაწვრილებით გაიწინა ქალაქ კონკორდის გარშემო მთელი ადგილ-მდგომარეობა, რომ იმაზე ამობდნენ, მელანჯითა და ფრინველივით იცის გარეშე თვითი კუნტული და დამე ტეეში თვადიც არა სჭირია: თეხითა და ადგილით კარგად გაატეხეს ცხასა.

კანკარდს ახლო სოფლად მცხოვრები ცხელები კარგად იცნობდნენ ზატონ ჭენრის; იგი მათი ხშირი სტუმარი იყო. ამ მხრივაც იგი დიდ ქალაქებში დაბადებულ ბავშვზე უფრო ბუნებრივი იყო: იცოდა საიდან, და როგორ ჩნდება ადამიანის უმთავრესი საკვები ზური, რამდენი ჯათა სჭირია ამ ზურის მოყვანას, იცოდა რომ ამ ზურის აღმზრდელი და ქვეყნის მარხენადა გლეხი თვითონ სიადრიბეში სცხოვრობს და სიმშინთა ითმენს და უკვე ბავშობიდან უთქმობდა იმას თუ რა მიზეზმა გამოიწვია ეს თვალსაჩინო უთანასწორობა კაცთა შორის, რად მონდა ისე, რომ მთელი კაცობრიობის უმცირესი ნაწილი — მდიდარი ხალხი — ურცხვი ღარიბი ხალხის მხატვრული და ბრძანებელია.

რაცა ერთხელ სულს დაახინდების საშვილიშვილად გადაიცემის, — ამბობს ჩვენი ნიჭიერი ზოეტი ნიკოლოზ ბანათაშვილი. ბავშვობის მოგონებანი ღრმად აღებუტდა ჭენრი თორის სულს, შემდეგ მთელ იმის ცხოვრებას და მოდგაწვობას დაახინა თავისი კვალი და დღეს ჩვენ თვალწინ ნათლად გადაშლილია იმის ნაწერებში. ტეემინდორ-ველის, უხვად ამწვანებულ-ყვავილები ბუნების სიყვარულმა ადრე შეატულა თორის ქალაქური ცხოვრება, შეატულა სიმდიდრის წყურვილი, თავის კერძ სიწყვიანგარება. რაც უფრო უყვარდებოდა იგი ყოველნიანი სიმდიდრით სავსე ბუნების კალა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ღმერთს საკმარად გაუხენა კრთათვის საცხოვრებელი მსალა, ყოველნიანი სიმდიდრე: დედა-მის ყველასათვის საკმა მცენარეულობას, ზურს, ხესილს და მწვანეულობას ზრდის; მთელ ქვეყანას გარს არტყია თვალ-უწვდენი ზღვა-ოკეანეები, დედამის უხვად მწვანე მრავალნიანად დაკლანილი მდინარეები. ცის ნამიცა და წვიმაც უხვად ეფინება ამ დედა-მის და იმის ნათეს ნიადავის ნიყერი წვენი ზრდის და ჭეკვბავს. ყველაფერი ხელთა აქვს ადამიანს: შრამ-გარჯის მეტი არაფერი სჭირია. როგორც ჩვენი ქართული ხალხი ამბობს: ღმერთს თავისი კალთა დედამისზე უხვად დაუბერტყია. მხოლოდ ღვთისაგან მთელ ქვეყნიერებაში

მრავლად გაფანტულ სიმიდღერეს ერთნაირად არ იყოფენ ერთიერთ შორის ადამიანები და ბრწინვალე სიმიდღერისა და იმის გვერდით გულის შემზარავი სიღარობის უმთავრესი მიზეზი სწორედ ეს არის.

რაც უფრო იზრდებოდა ბუნების სძირი სტუმარი და ერთგული მეგობარი პატარა ჭინრი და უკვირდებოდა ამ ბუნების სიღრცხლით სავსე ცხოვრებას, მით უფრო უკვირდა, რომ ზოგიერთმა ადამიანებმა, რომელთაც ქვეყანაზე არაფერი გაუჩინათ, არ შეუქმნიათ არც ერთი პაღასი, ერთი წვეთი წყალი, მიწის მცირე ნაწილაკი არც ერთი ხაწია მწერი და ჭავჭავი თავისუფლად მფრინავი ჩიტუნია ამავე დროს დედამიწის დიდძალი ნაჭრები ჩაიგდეს ხელში, ნიადგეს საუკეთესო, ზოხიერ ნაწილებს დაეპატრონენ, თავი ამ მიწის მესაკუთრე შემამულეებად გამოაცხადეს და ქვეყანას მცინეს, რაცამ ჩვენ ნაჭერ მიწაზე, ხარბის და ცოცხლობის, სულ-ჩადგომული და უსულო ბუნება, ეგულა ეს ჩვენ გვეკუთვნის და უფასოდ ან იჯარის გადასხდელად არავის დავანებებთ.

ჭინრის სუ-მულამ, განუწყვეტლივ ის თეატრი უტრიალებდა თავში, თუ რა გზას უნდა დაადგეს ადამიანი ცხოვრებაში, როგორ უნდა მოისპოს უთანასწორობა კაცთა შორის, რის მოქმედი უნდა იყოს ადამიანი ამ წუთი სოფელში. იგი ჭხედავდა, რომ ზოგიერთი ადამიანი ქველმოქმედებას ეწევა, ღარიბებისათვის ზრუნავს და ამავე დროს თვითონ შეძლებულად ცხოვრობს. ეს სიუალებე თვალში ეჩინებოდა ჭინრის. იგი კარგად ჭხედავდა, რომ სიმიდღერე მუშა ხალხის ხელით არის შექმნილი, რომ ერთ ადამიანს არ შეუძლია ააშენოს დიდი სასახლე, იგი უფლებიან ნივთებით აავსოს, - არ შეუძლია გააჩინოს უფლებიანი სანოვანე, სასმელ-საჭმელი, რომელითაც სავსეა მდიდართა ოჯახები. რის მოქმედიას მერე უფლები მდიდარი კაცი, რომელიც ქველმოქმედობს, ღარიბებს ეწევა? იგი ათას მუშას ნაშრომის ართმევს, თვითონ სარგებლობს მათი შრომის ნაყოფით, მერე ვინმე ერთ მათგანს მცირე შესაწევარს აძლევს, რაიმე წვლილს უნაწილებს და თავს ატყუებს, რომ კეთილ საქმეს შერება. ეს იმას ჭკავს, ამბობდა თორც, თუ მაგალითად მრავალ ადამიანს ქარხნებში და სხვა მძიმე სამუშაოზე დასრულებს, ავად გახდი და შემდეგ საავადმყოფოს აუშენებ, რომ ზოგიერთ მათგანს უწამლო და მოყარო.

მართლაც, ქალაქის მთელი ქარხნები რომ დანართად და იქ მომუშავე ხალხს ამბავი გამოჰქოთნოთ, უკვლად გეტყვიან, რომ ისინი სიღარობემ, მიწის უქონლობამ გამოდენა სოფლიდან და ქალაქში სამუშაოს საძებრად ჩამოიყვანა. ამასვე გეტყვიან ოჯახებში ხელზე მოსამისხურე ხალხი, დღიური მუშები, ამასვე გეტყვიან ხელისნათა და სხვა მშრომელთა დიდი უმრავლესობა. ერთი

სიტყვით რომ ვსთქვათ, იმ გარემოებამ ჩაგდო, გაჭირვებაში ქალაქში მომუშავე ხალხი, რომ უფლებად უკვლად ქვეყნებში დიდი მამულები შემამულეებდა. სწორედ ეს არის ნაწილი-ი გლეხობას ეკუთვნის. სწორედ, რომ ჭქინდეს ეგულას მიწა სასარგებლოდ და არ საკუთრებად მიცემული, ეგულას საფსებით ეყოფოდა, ამის დამტკიცებაც საჭირო არ არის; საკმაოდ დედა-მიწის დაუსრულბელი სიფრტეს და ბუნების სიმიდღერეს მხოლოდ თვალი გადაავლოთ, რომ ეს ჭეშმარიტება აღიაროთ. შემამულე, რომელიც დიდ მამულს ჭთელობს, ხალხს უმიწა-წყლოდ სტოვებს, და თუ შემდეგ ქველმოქმედებას იწეებს, ღარიბებს ეწევა, ეს იმას ჭინმზავს, რასაკვირვებია, რომ იგი ას კაცს უფუქმა-პუროდ სტოვებს. და შემდეგ გულის მოსაფხანად ვინმე ერთ ღარიბ და მძიერ ადამიანს მცირე ლუკმას უზიარებს.

ეგულა ეს კარგად შეიგნო ჭინრი თორც და გადასწვიტა თავის გულში, რომ სიმიდღერის შექმნა და შემდეგ ამ შექმნილი სიმიდღერით ქველ-მოქმედება, ღარიბთა დახმარება, სიუალებე, თავის მოტყუებას და სხვა არაფერი.

ეგულა, ვინც სიმიდღერეს იძენს, თავის სასარგებლოდ სხვებს ამუშავებს, თავის ძმებს სძარცვავს, - გადასწვიტა ჭინრი თორც და ამის და გვარად სრულებით ახალ, თავისებურ გზას დაადგა ცხოვრებაში. 28 წლის რომ შეაქნა, იგი დასახლდა მარტო ტყეში, ვადდენის ტბის ახლოს სადაც თავისი ხელით ააშენა ხის სახლი, ერთი პატარა ოთახი, გაიკეთა იქვე ახლან პატარა ბოსტანი და მცენარეულობით, კარტოფილითა და მწვანე-ლით იკვებებოდა.

ხორცილ, მოკლეული ცხოველის ლეშით კვება, გულთ ეზიზღებოდა თორც. ნაზმა, გრძნობიერმა გულმა ადრე შეაგნებია ჭინრის, რომ ცხოველების, ჩვენი უმცროსი ძმების, ხცვვა და მათი ხორცილთ კვება საზიზღარი ცოდვია, რომელსაც მხოლოდ შეუგნებლობით, მამა-პაპათაგან ნაანდერძევ და ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვეულებით სჩადის ადამიანი, რადგან არ უთქმობდა იმ გარემოებას, რომ ცხოველი, შინური და გარეული პირუტყვები და ფრინველები, ჩვენსავით შესტრფიან სიღრცხლეს, ჩვენსავით სწეურით თავისუფლება, მზის შუქი, მწვანით მოსილ ბუნების კაღთაში მუფდრო ცხოვრება. რა უფლება აქვს ადამიანს, თქმობდა თორც, რომ ცხოველს, რომელსაც იგი ერთ ბწვსაც ვერ შეჭმატებს, რომლის გაჩენაში იგი სრულებით არ გარეულა, როგორ შეუძლია, რა უფლება აქვს ბუნების შვილს, ადამიანს, ამავე ბუნების უმცროს შვილებს სიღრცხლე წანათვას? განა სინიღისი, ადამიანის უდიდესი და უწმინდესი ნიჭი, ნათლად არ ამხელს, რომ ცხოველის მოკვლა, იმისი ეგლის გამტარა, უწვადო საქციელია? განა არ უკანკალებს ხელი ადამიანს, როცა იგი ცოცხალ არსებას

ეკლესია სჭრის, როცა გრძნობს, როგორ თრთის და კანკალებს იმის სულ ქვეშ სსცოდავი, სანდაცემული ცხოველის გული. მერე ის სინდისი, ამ სსსტაკობის ჩამდენ ადამიანს ასე ცოცხლად მეტყველი ენით ჭეშმარიტებას ამხელს, ცხოველების შეცოდებას ავადებს, განა ეს სინდისი, იმის გულში ჩანერგული წმინდა გრძნობა, თავის კუჭზე მალდა არ უნდა დააქონოს ადამიანმა? ნუ თუ ამ წუთიერ ჩვენ ცხოვრებაში დმერთმა კანონად დაგვიდგა მისგანვე მონიჭებული უწმინდესი გრძნობა, სინდისის გულში ჩაკვდა, ცხოვრების გზის ამ ერთად ერთი მანათობელი ღამის ჩაქრობა და მხოლოდ ჩვენი სორციელი კუჭის დაკმაყოფილება?

იქნება ზოგიერთმა სთქვას, პირდაპირ მე არ ურევივარ ამ ცოდვაში: მხოლოდ დაკლული ცხოველის სორცის ვეიდულად და ვსტამ; მე რომ არ ვივიდო, სულ ერთია სხვა ივიდის და ამ ჩინად სსქმეს არაფერი ეშველება. ამ გვარი ღამისაჲ მხოლოდ თავის მტყუებას და სინდისის დაძინებას და სხვა არაფერი. ძველმა ხალხმა, რომლებმა ამ გვარ ეშმაკურ მოსახრებათა სსხსუხოდ შემდეგი გონიერი ანდაზა იცოდნენ: „რასაც მე სხვას ვაკეთებინებ, ჩემ ვაკეთებულად უნდა ჩათვალსო მაგალითად, რად ერადება თვითიული ჩვენგანი ჩაქურდალი ნივთების ეიდვას რასაკვირველია იმიტომ, რომ სსდაგულ სსქმეში მონაწილეობა არ სურს. ვინც სორცის სტამს, სსდაგულ სსქმეში მონაწილეა. ამგვარადვე ფიქრობდა ჭენრი თორთ და სორცის ჭამაზე სელი ადო.

ეველას უკვირდა იმის სსქციელი, რადგან კემრიელ სორცის შეზუენი, ვერ მისვდნენ, თუ რად შვრებოდა ამას თორთ, რად იკლებდა თავისი ნებით ამ გვარ უკვლ დიურ სიამოვნებას.

ერთი ქალაქელი ახალგაზდა კანი ეწვია სხვათა შორის თორთს, რომელიც ბუნების კარგ მცოდნეა და მკვლევარად იყო ცნობილი და დინივის კილოთი ჭკითხა: ვამიგონია, რომ თქვენ ფრინველების ეოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას იკვლევთ და სწერთ ამ სსგანზე და ამავე დროს იმათ არ ჭკლავთ. მერე როგორ ახერხებთ ეველა ამას?

— ნუ თუ თქვენი შესწავლა რომ მოვიინდომო, სხვა გზა არა მაქვს და უეჭველად უნდა თოფი გვრათ და გაგაკროთ? — უზსუს თორთმ ახალგაზდას, რომელიც, ამ სიტყვებით შერცხენილი, კვალ-წმინდად გაქრა.

მოვიყვან კიდევ ერთ სსეუთადებო ამბავს ცხოველების მოსიყვარულე თორთს ცხოვრებიდან. იმის ბოსტანში სიარულს და იქსურობას ახერებს დაეზვია ერთი ურებ-ანქველი კურდღელი, რომელიც დამე შემოიბარებოდა, კამბოსტის სსტამდა და მერე იმალებოდა. თორთმ, როცა ვერაფერი გასწო მასთან, მასე დაუგო და დაიჭირა. შემდეგ დამად დაფიქრდა იმის გამო, თუ რა

უეოს, როგორ მოექცეს ამ თავის ზაწია ტყეში. კემრი იფიქრა თორთმ და ბოლოს გადასწავლა: როგორც დაჭრილი ცხოველი ანაფერი იმოქმედოს და დაჭერილი უკრდღლის სსქმე თავისი მეგობრების სსსამართლს გადასცეს. იმან თავი მოუყარა იმ სსდამისვე თავის ამსნაგ-მეგობრებს, დაჭერილი კურდღელი წარმოუდგინა, იმისი დანაშაული მოუთხრო და დაუსვა გადასწვეტად შემდეგი სსკითხი: როგორ ფიქრობთ, თქვენის აზრით, რა სსსჯელი უნდა მივაყენოთ ამ ზაწია ცხოველსა?

მსჯულებმა ერთხმად დაადგინეს, რომ კურდღელი სიკვდილით უნდა დასაჯოს. მაშინ ამ სსცოდავი ზაწია ცხოველის ქომაგად გამოვიდა თვით იმისი დამჭერი ჭენრი თორთ.

— სანამ მე ამ ტყეში დავსახლდები, ვინ იდგა აქ, ვინ იყო აქ ზატრონი და ვინ სარგებლობდა ამ ადგილით? — ჭკითხა თორთმ კურდღლის მსჯულებს.

— აწავინ, — უზსუსეს მსჯულებმა.

— თქვენ შემცდარი ბრძანებით, — უზსუსა თორთმ. სულ ცოტა ხანია, რაც მე აქ დავსახლდი, ეს კურდღელი კი ჩემს მოსვლამდის უკვე აქ ცხოვრობდა, ამ ადგილის ზატრონი იყო, და ახლა მე იმისი გაგდება და განადგურება მიინდა. არსოდეს არ ჩავიდენ მე ამ სსსტაკობას.

კურდღლის მსჯულება ერთობ გააკვირა თორთს სიტყვებმა. იმათ არაფერი უთქვამთ თორთსათვის და ჩემად თავ-თავის ბინაზე წავიდნენ, თორთმ კი ადამიანის ახალი სსშუალება კურდღლისგან თავისი ბოსტნის დასაცვლად: ისეთი სსქელი და მაგარი დობე შემთავლო, რომ კურდღელი შიგ ვეადრ გაძვრებოდა. შემდეგ თორთმ კურდღელი ტყეში წაიღო და იქ გაუშვა.

ილია ნაკაშიძე.

**ჩაბველი ხულიგანები**

ესე ამბავი მართალი ჩაბველი ხულიგნებისა მათი აზრი და წადილი ნაყოფი გულის ვნებისა...

იყო დრო როცა ისინი „ერთობას-ძმობას“ ჭეიცავდენ, მარქს და ენგელსის მოძღვრებას თავამოდებით იცავდენ.

იყო დრო როცა ისინი მიტინგზე ხშირად დარბოდენ, ძველი რევიმის დამბობას ვითომ ისინიც ლამობდენ.

მაგრამ დღეს საღ ნახეს ძალა, იქითკენ გადაიხარეს...

„დამსჯელი რაზმის“ მოსვლითა გულს ჭირი გადაიყარეს...

დღეს რომ დაბერა სხვა სიომ და შეიცვალა დროება, ყველამ აშკარად შეატყა იმათი უმანკოება.

დაიწყეს ჩუმი „დანასი“, ეს საზიხლარი ხელობა, პირად რომ ველარ გამოჩნდენ დასმენათ იწყეს მკვლელობა.

რაჭველი შურდული



უურნალ-გაზეთებიდან

თუ როგორ ავიწროვებენ კავკასიის მკვიდრთ და მაშასადამე ქართველობასაც სახელმწიფო თანამდებობაში, ნათლად სჩანს ოფიციალური გამოცემიდან კავკასიის კალენდარი 1908 ამოკრეფილი ცნობებიდან, რომელიც „ნ. ვ.“ დაიბეჭდა. ვთარგმნით შემოაკლებით.

მთავარ-მართებლის საბჭოში და განსაკუთრებულ საპოლიციო განყოფილებაში არ არის არც ერთი მკვიდრი. მთავარ-მართებლის კანცელარიაში და სამხედრო-სახალხო გამგეობაში 40 მოხელიდან 4 მკვიდრია, და ისიც უმდაბლეს ადგილებზე.

საკანტროლო და სახელმწიფო 3 ლატების გამგეებად არც ერთი მკვიდრი არ არის.

ჩნ საზინდართა შორის მხოლოდ ერთია მკვიდრი.

სააქციო გადასახდთა გამგეობებს და სადამოყენო ოლქებში მკვიდრთაგან უფროს ვერა ნახავთ, მოსამზღვრე დარაჯთა და სახელმწიფო ბანკების უფროს-გამგეებათაც არა მკვიდრნი არიან. 45 დამოყენის უფროსთა შორის მარტო 9 კაცია ადგილობრივი მკვიდრი, არც ერთი მკვიდრი არ არის არც გრადონაჩალიკად, არც ოლქის უფროსად და არც ვიცე-გუბერნატორად. საგუბერნიო მიწად მოქმედებისა და მიწის მომწესრიგებელ გამგეობის უფროსთა შორის მარტო ერთი კაცია ადგილობრივი მკვიდრი. გზათა გამგეობის და ამიერ-კავკასიის რკინის გზის საერთო გამგეობაში არც ერთი მკვიდრი არ არის. 37 მაზრის უფროსთა შორის მხოლოდ ცხრაა ადგილობრივი მკვიდრი. ოლქის 21 უფროსთა შორის მარტო ოთხია ადგილობრივი მკვიდრი 15 პოლიცემისტერში მხოლოდ ერთია მკვიდრი. ვერც ერთ მკვიდრთაგანს ვერა ნახავთ არც უფროს თავმჯდომარეთ, არც დეპარტამენტების თავმჯდომარეთ, არც ბრალდებულად, და არც საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთა და მის ამხანაგად.

პალატის 27 წევრთა შორის მხოლოდ ორია მკვიდრი. სალქო სასამართლოს 82 წევრთა შორის მარტო ცამეტი კაცია ადგილობრივი მკვიდრი. სამოსწავლო ოლქის უფროსად, ოლქის ინსპექტორებათ და ოლქის გამგეობის მოხელებათაც სულ არა მკვიდრნი არიან.

გიმნაზიის 16 დირექტორთა შორის მხოლოდ ერთია ადგილობრივი მკვიდრი. რეალურ სასწავლებლებს 15 დირექტორში, მხოლოდ ორია ადგილობრივი მკვიდრი. ქალების სასწავლებელთა 30 უფროსთა შორის მარტო ერთია ადგილობრივი მკვიდრი.

კავკასიის მხედრობაშიც ამჟამად უფროსების ადგილი არა მკვიდრთ უჭირავთ, მხოლოდ პოლკის კამანდირებს შორის მარტო ოთხია ადგილობრივი მკვიდრი.

აქედან ცხადათა სჩანს რომ ჩვენი ქვეყნის გამგე პატრონები არა მკვიდრნი არიან და რაღა საკვირველია რომ ადგილობრივი მკვიდრი გულგატეხილი იყოს.


ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში

სამხედრო წოდება ოსმალეთში შესდგება უმრავლესათ ქართველ მაჰმადიანებისაგა. მათ შორის უმრავლესი ადგილი უჭირავს ქართველ კადეტებს, რომლებიც სწავლას იღებენ ოსმალეთის კადეტთა კორპუსებში, საზოგადოდ, როგორც ეტყობა ქართველი მაჰმადიანი აფიცრობა მეტად ბევრია, რადგანაც, როგორც ამბობენ, ოსმალს აფიცრთა შორის, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას ახალგაზდა ოსმალთა მოძრაობაში, ორი ათასამდე ქართველი ითვლებოდა. რიზაფაშისა და აგრეთვე ოსმალეთის არტილერიის უფროსის თავ. თავდგირიძისა და სამხედრო მთავარ შტაბის უფროსის ბეჟანაშვილის გარდა, გაზეთ „ჩვენი კვალის“ უკანასკნელი ნომერში მოყვანილია მრავალ ქართველების გვარები, რომლებიც დაინიშნა სხვა და სხვა უმაღლეს ადგილებზე პაღიშაჰის განახლებულ იმპერიაში... როგორც ამბობენ, ყარსის ოსმალს ჯარის მთავარ სარდალი მუხდარ-ფაშა ჩაომავლობით ქართველი იყო და მის ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ... საიდან გაჩნდა ოსმალეთში ქართველი მაჰმადიანები? პასუხი მარტივია. მთელი ტრაპეზონის ვილაეტი დასახლებულია ქართველებით... პრივოტ-დოცენტის ი. ჯავახიშვილის სიტყვით ლაზთა (ყანები) რიცხვი 900,000 კაცს აღემატება... როგორც მკვიდრი მცხოვრებნი ქართველი მაჰმადიანები ლაზისტანის გარდა ცხოვრებენ ერზურუმის სიახლოვეს, ეს ოლქი ცნობილია ქართველთა შორის ბასიანის სახელით, სადაც ჯერ კიდევ არის ქართველი გაჰმამადიანებული სოფლები; ეს სოფლები ვახტანგ მე VI დროს კიდევ ქრისტიანები იყვნენ. მათ თავის ქართველი არქიელი ჰყავდათ.

ყველა დასახლებულ ადგილებზე ზღვის ნაპირად სტამბოლიდან მოყოლებული, რომელშიაც სცხოვრობს 30,000 ქართველი, ყველგან დიდძალი ქართველობაა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა. ეს ქართველობა გადმოსულია გაჰმამადიანებულ ქართველის სხვა და სხვა პროვინციებიდან, რომელთაც არ მოისურვებს რუსეთის ქვეშევრდომად დარჩენილიყვნენ.

ქართული ელემენტი ოსმალეთში არეული იყო მაჰმადიანთა მასსაში და ამიტომ ოსმალეთის ქართველები ევროპის თვალში დღემდე არ წარმოადგენდა ცალკე ეროვნებას; თუმცა თვითონ ოსმალენი და თურქები ქართველებს მუდამ გურჯებს უწოდებდნენ.

ჩვენი აზრით ენლა როცა განახლების ხანამ თავისუფლებისა გააშუქა ოსმალეთის პოლიტიკური ცხოვრება, განსაკუთრებით საგონებელი შეიქმნა ის გარამოება, რომ სტამბოლში არ არის ქართული ბეჭდური ორგანო, რომელსაც საგნად უნდა ჰქონოდა ქართველ მაჰმადიანთა ყოფა ცხოვ-



რების შესწავლა ოსმალეთის სამეფოში და იმავე დროს გავერცელებინა მათ შორის ცნობანი ახლად შემოღებულის განახლებულის პოლიტიკურის და აოციალურის ცხოვრების შესახებ კარგი და სასურველი იქნებოდა რომ ქართველ ისტორიკოსებმა გაგვიზიარონ ცნობანი სპარსეთისა და ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანებზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე, და ისტორიულ ეტნოგრაფიულ ხასიათზე.

ასეთი გამოკვლევანი ხელ შეუწყობს საერთო ნიადაგის გამოჩინებას.

**რუსული გაზეთი „Рѣчь“ სწერს.**

უნდა გვეფიქრნა, რომ ეხლა, როცა კავკასიის საზღვრებზე ხდება ამბები, რომელთაც შეუძლიათ ძირითადად შესცვალონ ჩვეულებრივი შეხედულება ოსმალეთზე, ყველაზე შესაფერია ისეთს პოლიტიკას მივყოთ ხელი, რომელიც კავკასიის ხალხებს გაუღვიძებს რუსეთისადმი სიყვარულს და რომელიც, რა თქმა უნდა, რეპრესიებით და ეროვნული გრძობის შელახვით არ შეიძლება დამკვიდრდეს.


გაზეთის ამ სიტყვებს ღირს რომ ჩაუკვირდეთ!

„Вир. Вѣд“. ვ. ოპოჩინინი ექომაგება სომხებს და ბოლოს დასძენს:

ღიღი ხნის მთავარ-მმართველობის დროს უფრო და უფრო გული მოსდიოდა გოლიცინს და ებრძოდა სომხებს, მაგრამ მწარედ სახსოვარ დღეს ანგარიშების გასწორებისას, საერთო აღსარების დროს, როცა საქვეყნო გამოითქვა სურვილი და მისწრაფებანი, არ გამოთქმულა მოწოდება „სომხეთის“ დაარსებისათვის კავკასიაში. გაკვირვებით ჩვენ ვნახეთ სულ სხვა რამ: თათრების იერიში აღმოსავლეთში, გურიის რევოლუცია დასავლეთში და ავტონომია საქართველოსი თფილისში.

ეს სრულიად მოულოდნელი შემკვიდრება იყო ქვეყნის ახალი მმართველისთვის.

სრული თანახმა ვართ, სომხებს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის რუსების მთავრობის წინაშე; პირიქით, კავკასიის დაპყრობის დროს საჯაშუშო მოვალეობანი რუსეთის წინაშე სულ სომხებმა იკისრეს, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, რომ ბ-ნი ოპოჩინინი არ გვაბეზღებდეს არ იქნებოდა ცუდი!



**მოსწარმული სიტყვა**

იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ძალიან უკმაყოფილოდ იყო კავკასიაზე და ამბობდა: კავკასია საზარალოა რუსეთისთვისაო. ამიტომ მიჰმართა სახელმწიფო სათათბიროს და წინადადება მისცა, რამე სხსარი მოეპოვებინა, რომ კავკასიის სარგებლობა მოეტანა რუსეთისთვის. იმპერატორი ცუდ გუნებაზედ იყო და ამიტომ ვერც ერთი წევრი სათათბიროსი ვერა ჰბედავდა ხმის ამოღებას ბოლოს ერთი ღრმად მოხუცებული და პატივცემული გენერალი წამოდგა ფეხზე და მოახსენა: ჩემის აზრით

კარგი იქნება კავკასია მივცეთ ასი წელიწადის უფრო გამოცდილ სახელმწიფოებს, მაგალითად შვეიცარიის წლით გერმანიას კულტურის შესატანად, იმდენივე ხნით ინგლისს ვაჭრობის გასავერცელებლათ და შვეიცარიის იტალიას მუსიკის და ხელოვნების გასავერცელებლად და მაშინ კავკასია შეიქნება მეტად სასარგებლო მხარეო. ეს აზრი ძლიერ მოეწონა მეფეს და უთხრა „კარგი, ძალიან კარგი, შენ ამბობ რომ შვეიცარიის წლით გერმანიას, შვეიცარიის წლით ინგლისს და შვეიცარიის იტალიას, ეს სულ იზავს 99 წელს, შენ-კი წელან 100 წელიწადი წარმოსთქვი, მაშ ვის მივცეთ ეს ბოლო ერთი წელიწადი“?

ამ უკანასკნელ ერთ წელიწადს, თქვენო უღიდებულესობავ, დანიშნეთ რუსის გენერალ-გუბერნატორი, რომელიც იმ ერთ წელიწადში მოსპობს სუყველას რაც გაკეთდება 99 წელიწადში—თამამად უპასუხა გენერალმა.



**პ რ ო ვ ი ნ ც ი ა**

**ლანჩხუთი. აქაური ავ-კარგი.** ეს ყოველის მხრით-სიმდიდრით და სიღამაზით შემკული, კაპწია ნაწილი გურიისა დღეს სასტიკ რეაქციის გამო ყოველად დაბეზავებულ და შევიწროვებულ დღილს წარმოადიქნს... მცხოვრებნი თითქმის გაურბიან ყოველივე აწმყოს და შეშინებულნი სოროებში იმალებიან...

ჯერ იყო და მიქიაშვილმა ააწიოკა აქაურობა, ფარანი რა არის, ისიც კი მიანგრ-მოანგრია, ისე გაურბოდა ეს ვაჟბატონი სინათლესა. — ეხლა აქ შეორეა, ესეც ნამდვილი ბურჯია რეაქციის—იგივე ჭიათურელი ნასტრაჟნიკალ-ბაზარნიკი, აბა ეს არის რაც არის!..

უსაქმობის გამო ამას წინად, მინდვრად მოსეირნე ხალხს ხუთს საათზე სტრაჟნიკები დაასია და გაარეკინა... გულ მოსული ვეკითხები სტრაჟნიკს, თუ რას ნიშნავს ასეთი საქცილი მეთქი?! ეს გუბერნატორის ბრძანებაა! ამ რიგათ ჩვენს დაბაში დღეს არამც თუ „ვოენნოე პოლოჟენიე“—„სადნიც“ არის შემოღებული... აქედან კაცი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა კალაპოტში არის დღეს მომწყვდეული მოქალაქეობრივი ცხოვრება.. ხალხი დაშინდა—ერთი მეორეს გაურბის და სახლებში იმალება.

გამრავლდა სხვა და სხვა ჯგუფი: „ხულიგანებო“, ეს „ტერორისტებო“, და მრავალი სხვა... პირველი ჯგუფი შესდგება პატარა ბიჭ-ბუჭებისაგან, რომლებიც ჯოხებით არიან შეიარაღებულნი, დედის შენის შვილი ხარ და გაუბედე რამე, ღვთის წყალობა ღვთის რისხვით მიანიხათ; მათი გასართ-ბი დილიდგან-საღამომდის „რაა-რია“-ს თამაშია...

მეორენი მძარცველთა გუნდს ეკუთვნის: ორი გროშისათვის წუთი სოფელს გამოგასალმებენ. იგდებენ ფულს ხელში თუ არა—„სამ ფურცელას“, შექცევიან...

აქაური ქუჩები ლეკებით და ინგუზებით არის სავსე!..

ერთად ერთი სასიერო ადგილი სადგურია, სადაც ხალხი მატარებლის მოსვლისას თავს იყრის. აქაც „ოხრანა“ და რამ წამს მატარებელი გამოვა, ყველას იქ მყოფთ საერთო ოთახში ამწყვდევენ—მატარებლის ჩამოდგომისას ბილეთებით უშვებენ. ოთახში ერთი ქრიაშული და ყვირილია, კიდევ კარგი რომ თოფიანი მხედარი ლიბერალობს, თორემ ვაი ჩვენი ბრალი. ბევრს აუჭრელეს და აუჭრელებენ გვერდებს...

აქ ხმა დადის რომ მალე ბ-ნ ირეთელს მოელიან თავის დასითო, რომელიც გურიაში მოგზაურობს და სდგამს თავისივე პიესას „დამარცხებულს“ და გრიგოლ ჩარკვიანი ათის წარმოდგენით ყავს რეჟისორად მიწვეულია. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

**ბიჭი — ბიჭი.**

**შოთი. აქაური რამე-რუმე.** ზოგს ადამიანს სირცხვილი სრულდებოდა უკუღმართად ესმის, ამას წინედ აქ ერთს ოჯახში თურმე, ჯვარის დაწერილგან მეშვიდ თვეზე დაიბადა ბავშვი. იუტხოვეს... და სირცხვილის ასაცდენად ბავშვს „დღე ნაკლული“ უწოდეს (უღდეური) მაგრამ რა კი ბავშვი ყოვლად ჯანსაღი გამოდგა, შიმშილისაგან ძალად სული ამოაძრეს და თავი მით იმართლეს „დღე ნაკლული იყო და მიტომ მოკვდაო!“ ვაი მაგისთანა მშობლებს და ვაი მაგისთანა სირცხვილის პატრონებს, რომელნიც ოღონდ სირცხვილი აიციდნენ და მკვლელობასაც კი ჩაიდენენ...

— აქაური რჩინის გზის სადგურზე ძლიერ გასაქრია „ბაგაყად“ ან „გრუზად“ უქრთამოთ საქონლის გაგზავნა. ბაგაყანი განყოფილებაში სულ მუდამ შარებს ეძებენ. „ეს გატეხილია, ეს არ მიიღება, ესლა გვიანიაო“ და სხ. მაგრამ თუ ხელის ჭუჭყი ხელზე მოსცხეთ, მაშინ მართლაც რომ არ გაიგზავნებოდეს მაინც გაგიგზავნიან, საგრუზო განყოფილებაშიაც ასეთი ოინები ხდება და ვინ არის პატრონი... დრო კი იყო ღვთის წინაშე, რომ რაიმე დღე იქმნას მიღებული იმ ვაჟბატონების წინააღმდეგ. ჯერ ხანად „ნიშადური“, ამოუსვათ. და თუ არ გასწორდნენ მაშინ „ქაღალბნია წიგნი“ ხამა არის და საზოგადოთ წესიერობის მეთვალყურეს ყურებადღე მივიყვანთ ამ საქმეს.

**გრ. ელისაბედიშვილი.**

**ს. მათხოჯი. სამკითხველო** ქარ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ თავს იდვა იზუამდგომლოს მთავრობის წინაშე ჩვენს სოფელში სამკითხველოს გახსნაზე.

სამკითხველოს სასარგებლოდ უკვე წარმოდგენა გაიმართა. წარმოდგენილ იქმნა „ბატონი და ყმა“, დრამამ საერთოდ კარგად ჩაიარა; ხალხი ბლომად დაესწრო, რითაც, სხვათა შორის, დამტკიცა აქ მცხოვრებ წერა-კითხვის მოყვარულ ხალხმა, რომ მზად არის დახმარება გაუწიოს ს. მათხოჯის სამკითხველოს.

**ვარლამ.**

**დ. მატრვილი უსაქმო ახალგაზღობა.** სადაც არ წავედი, საითკენაც არ მივიხვე, ყოველ მხრივ მესმის ხალხის კვნესა და ტირილი. ყველა უკმაყოფილოა დღევანდელ ცხოვრების პირობებით და ამიტომ ყველა ცდილობს ასე თუ ისე რითიმე გაუმჯობესოს თავისი თუ სხვისი ყოფა, მაგრამ საუბუროდ მარტვილის ერთი ჯგუფი ქალ-ვაჟთა ახალგაზღობისა სრულდებით არ ფიქრობს არც აწმყოზე და არცა მომავალზე. იმ დალოცვლის შვილებს ამოურჩევით მთის მწვერვალები სახელდობრ „კოდმე“ და „ღიხა-კურძულა“, და იქ ყოველ ცის

მარა დღეს იკრიბებიან სალაყბოთ. ყბედობენ უხაროდ დასუსტ ატარებენ, „ფანტს“ თამაშებენ, ბეჭდობიას, კეკელიშვილბას ჭრიკანობაში, არშიყობაში და სხვა ამ გვიან უსახლოვრო სისულელეში მიუღიით სული. და რა თქმა უნდა ხალხის, ყოფა-ცხოვრებას მის ჭირსა და ვარამს ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა კი ზოგ მათგანს თავიანთი თავი სოც.-დემოკრატით მოაქვს, და როდესაც შეეკითხებით რასმე, და თუ კი დარწმუნდა რომ მოკამათე სხვა ბანაკისაა მედიდურად შემოგხედავენ და ცდილობენ ყველაფერი მასხრობაში გაატარონ... აფსუს სოციალისტებო.

ჰე, „კოდმელების“ და „ღიხა კურძულების“ ჯგუფის ქალ-ვაჟნო, სჯობია იმეცადინოთ და უნაყოფად დრო არ დაკარგოთ! დროა გაეცნოთ სიმართლეს და დაადგეთ გზისა ნათელისას; უმჯობესია ყალბი სოციალისტობის პირბადე მოიხსნათ და აღიაროთ უცოდინარობა და უფიცობა. ამასთანავე დაივიწყეთ არშიყობისა და ჭორების „კოდმე“ და მის ნაცვლად დაბანაკდეთ თვით შეგნებისა და მეცნიერო-„კოდმეზე“..

**ღონ — ჭიპოვი.**

**სადმელი. ობობა მედუქნე** მედუქნეები რომ დიდათ პატიოსნები არიან, ამის მტკიცება აღარც შენ გეჭირვება, ჩემო მკითხველო. გამოჩნდა სადმელში ერთი მედუქნე ო—ძე პატიოსანთა პატიოსანი. ამასწინეთო, მიაშობ ორმა გლეხმა, ფული მოგვივივა სადმელის ფოშტაში. ჩავედით სადმელში და დავგზნა მედუქნე ო—ძე, რომელმაც გვითხრა დღეს კვირა არი და თუ ოთხი ბოთლი ღვინო არ უყიდეთ ფოშტის უფროსს, ისე კანტარას არ გააღებს და ფულს ვერ მიიღებთო. მეტი რა ჩარა იყო, მივეცი მედუქნეს ოთხი ბოთლი ღვინის ფასიო და აღარ ვიცი თითონ დალია თუ მართლა ფოსტის უფროსს მიართვაო. გთხოვთ ამ მედუქნისთვის ცატადენ ნიშადურს, ნიშადური აუწვამს მას კანს და კვლავ ველარ გაბედავს სხვა გლეხების გაღლეთასო.

**რაჭველი შურდული.**



**წერილები რედაქციის მიმართ**

მასუხად ა. კიკაჩიშვილის


ბ-ნო რედაქტორო! ჩემმა სახუმარო კორესპონდენტციამ „ნიშადურში“ ჩიბათის აფთიაქის შესახებ ბ-ნ ა. კიკაჩიშვილზე ეტყობა ზარ დამცემი ზედ გავლენა მოახდინა და იგი მოუფიქრებლად გაიძახის „ხიფათში ჩამავდოვო“ და მიტომ სამართალში მიწვევს მეც, რედაქტორს და არ ვიცი კიდევ ვის, ვინიცობაა, სამართალში არ გამყევით, მერე მე ვიციო და სხვა ამისთანები... ვარწმუნებ ა. კიკაჩიშვილს, რომ ჩემს კორესპონდენტიაში არაფერი ცილის წამება არ ყოფილა, თორემ თვითონაც კარგად იცის და სხვებმაც, თუ როგორ არის საქმე... რაც შეეხება სამართალს მე ამას არ გავუბრვივარ, მიუხედავად იმისა, რომ ეხლანდელი სამედ. სამარ-



სასუფევლს  
კარები

ვინც ატარებს ამ ჩემს აზრებს,  
დავლევ იმის სადღევრძელოს!  
ვისაც უნდა „ესდევით“ დასში  
ჩემებრ თავი ისახელოს  
მან წარსულთა ნაშრომ-ღვაწლი  
უნდა ფეხით გედასთელოს:  
თაყვანი სცეს მარქს-ენგელსსა,  
მიაფუროთხოს საქართველოს!..

გრი—გრი



თალი ჩირადაც არა ღირს. მაგრამ საქმე ის არის, რომ „ამ უმად“ მე ვერ მივიღებ მის წინადადებას რადგან „გარემოება“ ხელს მიშლის \*), ხოლო წამოყენებული ბრალდების ყოველივე მუხლს სათითაოდ დაგიმტკიცებთ შემდეგში და რაც შეიძლება მაღე, მანამ-კი გული მოიშუშეთ თქვენივე ენციკლოპედიურის აფთიაქის წამლებით. ცოტა გვაცალეთ, ბ-ნო კიკაჩიშვილო, და მტყუანსა და მართალს ყველა დაინახავს.

კაკო

\*) სწორედ ის, რამაც თქვენ მედიატორების სახელი და გვარის მაგიერ თითო ასოები დაგანიშნინეს.



სწარსეთის ეჭნი მამედადი, ერთის ხელით თავისუფლებას იძლევა, მეორეთი თავისუფლებას სვრეტავს.



ბ-ნო რედაქტო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენს წერილს. თქვენის ჟურნალის „ნიზაღურის“ 53 №-ში სხვათა შორის მოთავსებულია წერილი ქიზიყიძეან, სადაც ავტორი გიორგი ნარიგლეჯია ჩვენს შესახებ ბევრს ცილის წამებასა და კორებსა სწერს. ამ კორების თავიდან ასაცილებლად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი გიორგი ნარიგლეჯიას სამედიატორო სამართალში ვიწვევთ. ჩვენის მხრით მედიატორებად ივ. გომართელს, ა. დიასამიძეს და ი. ბარათაშვილს ვასახელებთ. გიორგი ნარიგლეჯიამაც დაასახელოს მედიატორები ორის კვირის განმავლობაში. უკეთუ ამ ხნის განმავლობაში, გიორგი ნარიგლეჯია მედიატორებს არ დაასახელებს და სამედიატორო სამართალში არ გამოგვეყვება, მაშინ იგი კორის გუდა და ცილის მწამებელად ჩაითვლება.

ევ. მ—ვილი და ნიკო ზ—ლი

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია